*პროექტი*

# საქართველოს კანონი

## „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N22, 19.06.2007, მუხ. 203) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის II თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი II

საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებები საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში“;

2. ამოღებულ იქნეს მე–10 მუხლი

3. მე–11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები:

„ი) ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივას საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში;

კ) გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში;

ლ) ამტკიცებს ეროვნული რეაგირების გეგმას და სამოქალაქო თავდაცვის გეგმებს.“

4. 27–ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე–3 პუნქტი:

„3. 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებამდე საქართველოს მთავრობამ დაამტკიცოს ეროვნული რეაგირების გეგმა და სამოქალაქო თავდაცვის გეგმები.“

**მუხლი 2.**

1. ეს კანონი, გარდა პირველი მუხლის მე–4 პუნქტისა, ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი